სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N267

ქ. ბათუმი 27 ივლისი 2018 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ, შპს „გლორია LLC GLORIA“ (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი დირექტორის მურატ თანსუს სახით, („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 55100000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელმა, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებისათვის, კერძოდ, ტელეკომპანია რუსთავი2-ის ჟურნალისტი-ოპერატორი-მძღოლისთვის (სულ 3 პიროვნება) 2018 წლის 27-29 ივლისს (2 ღამე) უნდა უზრუნველყოს სასტუმრო მომსახურება. მომსახურების გაწევა განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, სასტუმრო „გრანდ გლორია“.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1180 (ერთიათას ასოთხმოცი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. დამკვეთი არ არის ვალდებული შეიძინოს 2.1. პუნქტში მითითებული მომსახურება სრული მოცულობით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2.დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - ლეილა გოგუაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	შპს „ გლორია LLC GLORIA “
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	ფაქტ. მისამართი: ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.22
	საიდენტიფიკაციო კოდი: 404379338
	სს „ვი თი ბი ბანკი“ *ბანკის კოდი* – UGEBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	ანგარიში N GE12VT5500000010703602
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**დირექტორი**
_____ /სულხან ღლონტი/ ბ.ა.	_____ /მურატ თანსუ/ ბ.ა.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ **სასტუმროს მომსახურების** შესყიდვის მიზნით 2018 წლის 27 ივლისს შპს „გლორია LLC GLORIA " - სთან გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N267 ხელშეკრულებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტი

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის სამსახურის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
ლეილა გოგუაძე

27 ივლისი 2018 წელი